ოქმი:**ო37.37210972**

თარიღი:**07/04/2021**

ოქმი N6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2021 წელი, 7 -აპრილი

ქ. ოზურგეთი

12.00 საათი

თავმჯდომარეობდა:დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ. ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, ე.გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, გ.თოიძე, შ.გოგიბერიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ხ.ცერცვაძე, შ.თავდიშვილი, დ.მდინარაძე, ვ. ბერიძე, ლ. ნინიძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ზოიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ვ.ნიჟარაძე, ლ.კილაძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ. ტუღუში, თ.ბურჭულაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 25 -მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 25-ხმით.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობი“-ს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

საკრებულომ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ინფორმაცია თორნიკე გოგუაძის ფრაქცია,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარედ არჩევის შესახებ მიიღო ცნობად.

9.2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მიხეილ შილაკაძე

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25- ხმით

10.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25- ხმით

18.4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მეცნიერების ქუჩა N16-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულიების მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული შენობა-ნაგებობის (ანასეული ს/კ 26.26.50.012, 2058.00 კვ.მ.) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25- ხმით

19.5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ოზურგეთში მერაბ კოსტავას ქუჩა N1-ში (26.26.42.003.01/508) მდებარე 46,2 კვ. ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25- ხმით

20.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით შპს. ,,სატისი“-სთვის (ს/ნ 437066201) გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25- ხმით

7. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

გოჩა კილაძე

მოიხსნა განხილვიდან დამატებითი დოკუმენტების მოპოვების მიზნით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დახურვის შემდეგ საკრებულოს წევრმა შ.თავდიშვილმა გააკეთა განცხადება ინტერნეტ კაბელის გამყვანი კომპანიის მიერ სოფლებსა და ქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანების შესახებ.

ასევე, საკრებულოს წინა სხდომაზე დაანონსებული პროექტის თაობაზე ინფორმაცია გააკეთა ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის წარმომადგენელმა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი